


№ 13



აკაკი და ვარლამ რუხაძე

## № 13
## შინაარსი:


1. მეთაური: ა) თვალხუჭიანობა თუ გაუგებრობა?! 1
ბ) წაჯექ-უკუჯექობა „ახალ კლუბში“ 2
2. გ. ქუჩიშვილი—აღმაფრენა „
3. მიწიშვილი—სიზმარი 3
4. ალ. ცირეკიძე—ია 4
5. ვახ. კოტეტიშვილი—შავი წიგნი, შ. არაგვისპირელის შემოქმედება) 5
6. ჯარისკაცი ვ. ლობჯანიძე—ხმა ბრძოლის ველიდან 6
7. თ. აბელ ო. ჩოლოყაშვილი—უსამართლოდ დასჯილი 7
8. დ. თურდოსპირელი—სიყვარული 8
9. აკაკის ნაკვესები 9
10. დ. მესხი—მოფურჩხულია (დასასრული) „
11. შალვა დადიანი—გასული სეზონი 11
12. ანნა ვართაგავა—ქართველების „მატიცა“ 12
13. ჭიჭიკო—სიდან აღმოცენდა ჩვენში აზნაურობა? (ზეპირ-გადმოცემა 14
14. ვ. გარრიკი—ქართული სცენის ქურუმნი, ვლ. ს. ალ. მესხიშვილი 15
15. ქართული სახიობა 16
16 წვრილი ამბები „
სურათები; განცხადებანი.



# აფთიაქი
პროვიზორის ა. ს. ახვლედიანისა
(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე), (5—2


---

## ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ვინც ჟურნალის ხელმოსაწერ კუთვნილ გადასახადს არ შემოიტანს, მომავალი კვირიდან ჟურნალი აღარ გაეგზავნება.

---


ზ. ჭიჭინაძის

## აჭარის შესახები წიგნები

1. ოსმალეთის ყოფილი საქართველო ფ. 50 კ.
2. მუჰაჯირი ანუ დიდი გადასახლება ქართველ მაჰმადიანთა ფ. 50 კ.
3. ქართველ მაჰმადიანთა სოფლები საქართველოში ფ. 60 კ.

ისყიდება „განთიადი“-ს კანტორაში გ. მ. მახარაძესთან (მიხეილის პრ. № 18) ფოსტით მისამართი: Тифлисъ. 2-я Тумановская, № 32. Зах. Чичинадзе—ვინც ავტორისაგან—ზ. ჭიჭინაძისაგან—გაიწერს გასაგზავნი ფასი არ გადახდება. (5—2)


---


### ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი

**კვირას, 29 მარტს შუადღის 12 საათზე**

ქართველნი მსახიობნი **ვალერიან გუნიას** მეთაურობით გამართავენ იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა 5 მოქ. ერისთავისა

# სამშობლო

**მონაწილეობენ**: ქ. ქ. ნ. დავითაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. თოიძე; ბ-ნნი: ა. იმედაშვილი, მგალობლიშვილი, ი. ივანიძე, პ. ფრანგიშვილი, ვ. ვ. გუნია, ს. რომანიშვილი. ი. კივიძე, ვ. გამყრელიძე, ნ. ციციშვილი, ლ. თუხარელი, ი. მამფორია, ნ. ჩაგუნავა, შ. საფაროვი და სხ.

ადგილების ფასი სამი შაურიდან 2 მანათამდე

**დასაწყისი შუადღის 12 საათზე**

ბილეთები ხმთავარით იყიდება თეატრისკასაში

რეჟისორი **ვალ. გუნია**

### ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

დ ი ლ ი თ

**დღეს, 29 მარტს**

მსახიობი **ალ. შანშიაშვილი** გამართავს წარმოდგენას. მონაწილეობას მიიღებენ: ბ. **ვ. გუნია**, ივანიძე, ქივიძე

წარმოდგენილი იქნება

# ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა

**მონაწილეობას მიიღებენ**: ქ.ქ. ანკარა, რუისპირელი, ბ. ბ. ვ. გუნია. ი. ივანიძე, ი. ქივიძე, შანშიაშვილი, სალაყაია, სარაული და ანაშვილი.

დასაწყისი 12½ საათზე

ადგილების ფასი 60 კაპ. 10 კაპ.

გამგე **სუმბათაშვილი**

# თეატრი და ცხოვრება

№ 13

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან"-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба" I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის" სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 13 კვირა 29 მარტი 1915 წ.


## 29 მარტი

### თვალხუჭინობა თუ გაუგებრობა?!

სახალხო თეატრის თვით-არსებობა და ღვაწლი ერთის მხრით და მეორე მხრით ქართულ თეატრის ამაგი არც ისე ხანმოკლე და მცირეა, რომ მასზე დიდი კამათი იყოს საჭირო...

ყველა ჩვენგანმა ეს კარგად იცის და მიუხედავად ამისა, ჩვენის პრესის ორ ბანაკში გაცხარებით ეკამათებიან ერთმანეთს—არა ერთს ეკუთვნის მუნ უფლება, არა მეორესო.

რას ნიშნავს ეს?—თვალხუჭინობაა თუ გაუგებრობა?!

ჯერ სახალხო სახლი დაფუძნებული არც კი იყო, რომ სახალხო წარმოდგენების მმართველნი და მათი მახლობელნი დღე-ღამ იმას ცდილობდენ, მუდმივი, შესაფერი და ყოველ მხრივ მოწყობილი ბინა გაეჩინათ.

ეს ნატვრა საქმედ აქციეს ძმ. ზუბალაშვილებმა ნეტარხსენებულ თავის მამის კ. ი. ზუბალაშვილის სამახსოვროდ.

აშენდა სახალხო სახლი, რომლის პატრონობა ქალაქს მიენდო.

სახალხო წარმოდგენების მართვას ფართო ასპარეზი გადაეშალა, მაგრამ სახალხო წარმოდგენების სამართავად საჭირო იყო ძლიერი და ნდობით აღჭურვილი ხელი, რომ საქმეს სათანადოთ გასძღოლოდა (წინად სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ოფიციალურად არ არსებობდა). ამიტომაც იყო, რომ ქალაქმა ქართული წარმოდგენების ხელმძღვანელად ქართ. დრამ. საზ. მოიწვია. დრამ. საზ. გამგეობამ თავის მხრით დანიშნა გამოცდილი რეჟისორი, რომელსაც თვისი პასუხისმგებლობით უნდა ემართნა ქართული წარმოდგენები. დროის განმავლობაში შეიქმნა ქართ. სახ. წარმ. მმართველი წრე, დამტკიცებულის წესდებით, რომელიც დღემდე თვისდა სასახელოთ და ხალხის სასიკეთოდ ნაკისრ მოვალეობას კეთილსინდისიერად უძღვება. ამ წრემ უკვე მოიპოვა ზნეობრივ იურიდიული უფლება, რომ უფრო მეტის პატივისცემით მოეპყრან.

და ეს ასეც იქნება: ვინ გაბედავს მას წინ გადაეღობოს?!

მაგრამ სახალხო თეატრის წინსვლა ქართული სასცენო ხელოვნების აღორძინება-განვითარების გარეშე, წარმოუდგენელია: რაც დრო მიდის, სახალხო თეატრის მრევლსაც ესთეტიური გემოვნება უვითარდება, უფრო უკეთესად დადგმულ-მოწყობილ და სინამდვილით გაპიროვნებულ წარმოდგენებს მოითხოვს. ამიტომაც თვით სახალხო თეატრის მესვეურთა ვალია ხელი შეუწყონ თვით სამშობლო სცენის ხელოვნების გაფურჩქვნა აყვავებასა და მათ მუშაკთა რაოდენადმე უზრუნველყოფას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული თეატრის დარბაზის დაწვის შემდეგ ქართული სცენის ქურუმნი უკეროდ დარჩენ (შემთხვევითი დღეებით თუ სარგებლობდენ სახალხო სახლში) და ამითი უწარმოდგენებოდ დარჩა ქართველ საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი—საშუალო წოდება,—რომელსაც სცენის მოყვარეთა წარმოდგენები სავსებით ვერ დააკმაყოფილებს: რა უნდა ჰქმნას მასწავლებელთა, მოხელეთ, ვექილთ, წვრილ ვაჭართა და სხ. წოდებამ, უთეატროდ

დარჩენილმა, რომელმაც ასე თავგამოდებით დაიწყო სიარული სახალხო სახლში, ქართ. მსახ. ა ხანაგობის წარმოდგენებზე

ერთად ერთი გზაა სახალხო სახლში ქართული წარმოდგენების დღეები შუა განაწილდეს,—დასმა და სცენის მოყვარეთა წრემ თავთავისი წარმოდგენები მართონ. მართალია, დასს მცირე დღეები არ ეყოფა, მაგრამ ისიც არ შეიძლება, და ამას, გვ ონია, ვერც დრამ. საზ. იზავს,—რომ სახალხო წარმოდგენების საქ ე შეფერხდ ს იმ სახლში, რომელ იც განსაკუთრებით ხალხისათვის არის აშენებული. .

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იხელმძღვანელოს სახალხო სახლის დღეების გამნაწილებელმა საქ ლაქო კომისიამ და ყველა იმან, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ამ საქმესთან.

— —

**წაჯექ-უკუჯექობა „ახალ კლუბში“**

ერთის ფეხით რომ წინ გადავხტებით ხოლმე, მეორეთი უკან და ერთის ხელით აშენებულს რომ მეორით ვაქცევთ—ეს ხომ ჩვენი თვისებაა ..

ეს თვისება ნათლად გამოიჩინეს ჩვენმა კლუბისტებმა გასული კვირის არჩევნებზე.

პირველ კრებაზე კლუბის წევრთა დიდი უმეტესობით რაოდენადმე შესაფერი, დამსახურებული და ცნობილი მოღ ვაწენი ა რჩიეს მამასახლისებად...

უანგარო ქართველმა გულდამშვიდებით ამოისუნთქა: მადლობა ღმერთს, იქნება ახლა უფრო უკეთ წავიდეს საქმე,— ნივ იერად თუ ვიღვარცლებით წყალობითა კლუბისათა, ეგება სულიერად შევიძინოთ რამეო...

მაგრამ... ანგართ არ ეძინათ: თქვენ თუ გააკეთეთ, ჩვენ გადავაკეთებთ,—იდუმალად შეუთვალა ქართველთ ერთმა ნაწილმა მეორეს.

საქმე არჩევნა კი არა—გარჩევააო, უთხრეს და უკვე არჩეულებს მეორე არჩევნებზე ისეთი „მუგუზალი“ წაუჩინჩხილეს, რომ წინად არჩეულებმა ფხაჭი ჰკრეს: ღმერთმა თქვენც შეგარცხვინოთ და თქვენ არჩეულთან მომუშავენიცო...

და ვინ გაამტყუნებს მათ?

სად გაგონილა ასეთი „დომხალივით“ არჩევნები?—კაცს კაცის სალამი ემკვლელება,—გვერდში ამოუსვამენ—საზოგადო საქმე ერთად გააკეთეთო ..

გაგონილა?!

აკი ამიტომაც არის ჩვენი საზოგადო საქმეები ერთ ადგილს გაყინული.

რა უნდა გაკეთდეს იქ, სადაც ერთს აქეთ მიაქვს ცხვირი, მეორეს იქით, ერთი ალთას გარბის, მეორე ბ ლთას?!.

ერთი გზაა: ან კლუბის მამასახლისნი ურთიერთის ნდობით და მთელის კრების დიდისხმის უმეტესობით უნდა აირჩნენ, ანუ მთელმა კრებამ ერთი მამასახლისი მოიწვიოს და მასთან შეთანხმებით აარჩიოს მამასახლისთა საბჭო რას იზავთ, მრავალთავიანობა და ერთ ქკვიანობა-თაოსნობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გამოგვიჩენია ..

თუ კლუბისტები ამ გზას არ დაადგნენ—მარად წაჯექ-უკუჯექობის კომედიას ითამაშებენ...

# ალმაფრენა

მოდის, მოდის გარიჟრაჟი,
შემკრთალ ღამეს მკერდით ჰსერავს!
და დილის მზე, სხივ-ლაჟლაჟი
მთის მწვერვალებს წითლად ჰფერავს!

ფრთები! ფრთები! მალე ფრთები!
მსურს ავიჭრა ლალის ცაზე!
მსურს სავსებით განვიცადო
ჩემი ქვეყნის სილამაზე!

მიხარიან! გული ღელავს!
შენებრ ღელავს გული,ველო!
და მიყვარხარ! სულ მიყვარხარ,
კურთხეულო საქართველო!

აბა, ფრთები! მალე, ფრთები!
ალმაფრენა მიწვევს ცაში!
მსურს მივეცე ალტაცებას!
მსურს შევცურდე გრძნობის ზღვაში!



**არჩილ ჯორჯაძე**

გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო

# სიზმარი*)

მე მაშინ მეძინა... ღრმად მეძინა და სიზმარში ვიყავი. . და სიზმარი იგი იყო საშინელი, შემზარავი...და ცივი ოფლი მდიოდა ტანზე..

მესიზმრა, ვითომ თვალ-გადუწვდენელ დაბლობზე ვიდექი. ირგვლივ არავითარი მცენარეულობა არ იზრდებოდა. მხოლოდ შორს, იქ, სადაც მიწა ზეცას უერთდებოდა, მოსჩანდა შორეულ ტყის ზოლი, მოსჩანდა კვამლი, ვით ნისლი, მიწისაგან ანაორთქლი.. მეორე მხრივ-კი—ზღვა, მაგრამ ზღვა იგი თითქოს შეზრდოდა ხმელეთს, და ვერ გაარჩევდი სად იწყებოდა ზღვა, სად თავდებოდა ხმელეთი..

და ირგვლივ სიჩუმე იყო...

არ ისმოდა არავითარ არსთა ხმა და მე, ერთად ერთი სულიერი, რაღაც განგებით ამ უდაბნოში გადმოვარდნილი, ვიდექი ერთ ალაგას და გავსცქეროდი თვალ-გადუწვდენელ სივრცეს... ვიდექი და შიშის ჟრუანტელი მივლიდა ტანში. მეშინოდა ამ მარტოობისა, მეშინოდა ჩემი ხმისა, ჩემი ლანდისა, მეშინოდა თვით ჩემი თავისა. .

და შიშის გასაქარვებელად ვიწყე სირბილი...

ვიდოდი დღით, ვიდოდი ღამით... ვიდოდი მზისა და ვარსკვლავთა სინათლეზე.. და მშიერი, მწყურვალი, დაქანცული და ღონე მიხდილი, მივედი იქ, სადაც ზღვა ხმელეთს პირსა ჰბანდა.. სადაც იწყებოდა ულრანი ტყე და იკარგებოდა ნასახი მხეცთა მიერ თელილი გზისა...

და ვიჯექი ხის ძირას და გავსცქეროდი მზის სხივებზე მოელვარე ზურმუხტის ზღვას...

წერტილი რაღაც გამოჩნდა ზღვაზე. . იზრდებ-და წერტილი იგი და უახლოვდებოდა ნაპირს ზღვისას..

და მოადგა ნავი ნაპირსა მას...

შიგ სამი მხედარი იჯდა მკაცრი, საშინელი სახისა, რკინასა და ფოლადში ჩამჯდარი... და შუაზე მათ ქალი ეჯდათ... შვენება ქალი... შვილი ზეცისა, მიწაზე ჩამოფრენილი.

და გადმოსვეს მხედართ ქალი იგი ნაპირსა ზედა... აწამეს... შეურაცხჰყვეს... ნამუსი ახადეს და დააგდეს ზღვის პირას და გაეშურნენ ნავისაკენ...

მაგრამ მობრუნდა ერთი ვნებით შეშლილი. ვნებით მთვრალი, მხედარი... იძრო ბასრი დანა, დასცა გულს მდელოზე გდებულ ქალწულსა..

იკივლა ერთი სუსტად... და იფეთქა ანკარა სისხლმა ქალწულის მკერდიდან და წითლად შეღება მდელო იგი...

და მეც ვიკივლე:

— მოკვდა, მოკვდა!..

და წამოვიჭერ ზეზე... მივვარდი ქალწულს... ის კვდებოდა..

— როგორ გიშველო, უბედურო, როგორ!..

და გადმომხედა მან დიდრონი თვალებით, და სთქვა ნელის ხმითა:

— ველარ... ველარ მიშველი.. მოვკვდები და არა არს საშველი ჩემი... ოდესმე აღვსდგები... მაგრამ.. მინამდე საჭიროა ის მტარვალები აქ მოვიდნენ... თვისი ნებით. . სინანულის ცრემლით მოჰბანონ სისხლი, მათ მიერ დანთხეული.., და მისცენ მათ ერთმა

---

*) ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ეს „სიზმარი" სააღდგომო ნომერში ვერ დაიბეჭდა. **რედ.**

ნეთს ფიცი საშინელი, რომ არასოდეს არ დაიღვრება მათგან წმიდა სისხლი ადამიანისა, არ დაიჩაგრება მათ მიერ არსება სუსტი და უძლური... და მაშინ... სული ჩემი ისევ.. ისე აღადგენს სხეულსა ჩემსა .. და...

მან ვეღარ დაათავა სათქმელი .. გაქრა სანთელი... შავი ფრთა სიკვდილისა გადაეფარა მის სხეულს...

——

და ვგოდებდი მე... და არ ქონდა საზღვარი წუხილსა ჩემსა...

ავედ ხეზე და ვიძახოდი... უხმობდი ადამიანთ, უხმობდი წარსულ მხედართ, რათა შეებრალებინათ ეს, საერთო ქმნილება ზეცისა და მიწისა. . მაგრამ არავის ესმოდა ჩემი ძახილი... ჩემი ხმა იკარგებოდა... ქრებოდა და თითქოს არ მეყვიროს, თითქოს არ მეძახოს...

მაგრამ კიდევ ვიყვირე... მოვიკრიბე ძალა და ვიყვირე... და გამომეღვიძა. .

——

მომცვივდნენ შინაურები.

— რა იყო.. რა დაგმართვია, რა მოხდა?..

მე კი ვერ განმეშორებია ტანჯული სახე ქალწულისა და, თითქოს შეშლილი, ვიძახოდი:

— მოკვდა... მოკლეს .. მტარვალები...

შინაურები-კი ისევ მიძახდნენ:

— ადექ, ადექ აღდგომაა... და ისმოდა მხიარული კოცნა... „ქრისტე აღსდგა"... ოთახში ზარების გრიალი შემოდი-და .. ახმაურებულიყო გაღვიძებული ქალაქი...

...— ქრისტე აღსდგა, შვილო... ქრისტეს აღდგომაა. . მეუბნებოდენ მე..

— მოკვდა .. მოკვდა! ვბუტბუტებდი მე.. და ნელ-ნელა ვიცვამდი ..

და გაკვირვებით მიყურებდენ მე და ვერ გაეგოთ, თუ რა დამემართა...

და ვერვის ვახარე ის დღეს მე ქრისტეს აღდგომა. და ვერც დავიჯერე ნათქვამი სხვისი და ვერ, ვერ ვთქვი— ჭეშმარიტად! .

——

და ვით ვსთქვა მე სასიხარულო სიტყვები —„გიხაროდესთ! აღსდგა ქრისტე"... როგორ ვსთქვა მე ეს?!.

— ვერა, მე ვერ ვიტყვი ამას... ის მოკლეს, ვერაგებმა... მოკლეს მშვენიერება და ვით ვსთქვა მე—აღსდგა-თქო. .

არა, ჯერ შვენება იგი, სიმბოლო ცხოვრებისა, მკვდარია... ჯერ ისევ თბილი სისხლი მოსდის მას განგმირულ მკერდიდან...

... და შევერთეთ... ვიბრძოლოთ და მოუწოდოთ ყველას... და შევასრულოთ ანდერძი ღვთაებრივ მშვენიერისა..

და იქნებ აღსდგეს ის... იქნებ აღსდგეს ის, შვენება და სილამაზე ქვეყნისა...

და ყველამა ვსთქვათ მაშინ: „აღსდგა, აღსდგა!—გიხაროდეთ-თქო.“

ყველამ ჩამოვკრათ სიხარულის ზარს, შვებითა და სიხარულით მიულოცოთ ერთმამეორეს **მისი** და **ჩვენი** აღდგომა! .

და მეც ვიტყვი მაშინ, რომ ის აღსდგა, ვიტყვი—

— აღსდგა, ჭეშმარიტად!

და ჯერ კი. .



# ია

—

პატარა სათუთმა იამ კვირტიდან თავი ამოყო, მზეს გაუცინა და ოცნების ფერი მკერდი გადაშალა..

— გული ნუ გადაგიღელია, დამალე.. გაზაფხული არ გეგონოს!—გააფრთხილა დინჯმა ბზამ.

— მზემ გამაღვიძა... თბილა... ყველას დავათრობ სურნელებით... პეპელაც ხომ მოვა... —კეკლუცობს პატარა ია და იმედიანად ათვალიერებს ბუჩქნარს: თავის ქურუმს, პეპელას ელის ..

— სულელი!—ბუზღუნებს ბზა.

მზე მიეფარა. შებინდდა..

იამ მოიწყინა, არავინ მოვიდა..

ზამთრის ღამე ცივ ხელს აფოთიალებს... ია აკანკალდა. . მზე უნდოდა, ზეით აიხედა:

—სულელი, სულელი,—დასცინიან ცელქი ვარსკვლავები...

მოიკუნტა ია..

შუაღამეზე სული დალია...

**ალ. ცირეკიძე**

# შავი წიგნი

## (შ. არაგვისპირელის შემოქმედება)



შიო არაგვის-პირელი

„ვის უნახავს შავი წიგნი,
წიგნი წითელ ასოებით,
„დაწერილი სისხლის წვეთით;
დაწერილი სასოებით?

**გ ტაბიძე**

თქვენ გახსოვთ სათაურები შ. არაგვისპირელის ესკიზ-ეტიუდებისა?

მაგრამ რა, შეიძლება არც გახსოვთ ძალიან ხშირად, სათაურებზე უფრო, შინაარსი ახსომდება ადამიანს. მაშ აბა ყური დაუგდეთ: „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი," *) „ხითხითებს და ხითხითებს", „მხრები და ავიჩეჩე", „შემუსვრილი სამი მცნება", „ღმერთო, რა დაგიშავე?"..., „ბეჩა, რადა მკლავ?".. „სულ ერთია", „ეჰ", „ესაა ჩვენი ცხოვრება", „ბალღი ჭყოფილხარ" და სხ.. სულ ასე შავად შეფერილი, სულ ასე სისხლით დაწერილი. თითქმის ამ სათაურებითვე შეგვიძლიან გავითვალისწინოთ ტონი მისი შემოქმედებისა, შეგვიძლიან დავხაზოთ კონტურები მისი ეტიუდებისა. „ესაა ჩვენი ცხოვრებაო", სარჩევშივე გვეუბნება მწერალი, და თუ ვერ შერიგებიხარ ამ აზრს, „ბალღი ყოფილხაროა". „ესაა ჩვენი ცხოვრება", სადაც შემუსვრილია სამი მცნება", სადაც შავი კაცი ხელის მომცრელი განუწყვეტლად „ხითხითებს და ხითხითებს", ხოლო ადამიანი კი, კაცთა ხროვა ჭკოდებს სასოწარკვეთილი: „ვაი, ჩვენი ბრალიც", „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალიო". ასეთია მწერლის აზრით ადამიანთა ცხოვრება. ამ რკალში არიან მოქცეულნი „ბუნების მეფენი", მედიდურები, თავხედები, ამაყები. ყურში კი განუწყვეტლივ იგივ შავი კაცის ლანდი ჩასჩურჩულებს: „ი..უუ..ჩე.."ო. ხოლო უმზერს რა ამ სურათს გესლიანი ფრთოსანი, ხედავს რა ადამიანის პამპულაობას, ყოყოჩობას, გესლიანადვე დაჭკისკისებს: „ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ", „სისულელეაო". და მწერალი კი, როგორც ერთი „ბუნების მეფე"-თაგანი, კვლავ უკვირდება ამ დრამას კაცთა ცხოვრებისას, იხედება მის სიღრმეში, ეძიებს მიზეზებს და გზას ხსნისას... მაგრამ... „მხრები და ავიჩეჩეო" და ებადება ტონი სასოწარკვეთილებისა და ღმერთს და ეკითხება: „ღმერთო, რა დაგიშავეო"; რომ იქიდანაც არ ესმის სანუგეშო პასუხი, ხელს და ჩააქნევს, „ეჰ", „სულ ერთია", „ჯანდაბას ჩემი თავი და ტანიო". ან და რა ჭქნას? რით და ინუგეშოს თავი? რა და იყვეს მის ნუგეშად?—არაფერი. მან ვერ დააკმაყოფილა წყურვილი, ვერ აღმოაჩინა აზრი სიცოცხლის. მას ხომ სტანჯავს პიროვნების „ბედის წერა". მას სურს გაიგოს პიროვნების მნიშვნელობა მსოფლიო სრბოლაში, სურს იხილოს მისი მძლეობა... მაგრამ... „ადამიანო, დასცხრი, დაწყნარდი!.." მოესმის ყოველი მხრიდამ; „გეყოფა სიჯიუტე, კმარა! „ბანს აძლევს არე-მარე, და აქვე ინასკვება სევდა მწერლისა. და სამართლიანია იგი სევდა. ადამიანი ხომ ისეთი არსებაა, რომელიც დღიდან აზროვნების გაღვიძების, მოცულია ერთი აზრით: გაიგოს მსოფლიო, იცნოს საკუთარი „მე", გამოჭყოს იგი იმ ხლართიდან, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან, და რომელთანაც ასე მჭიდროდ არის გადაბმული; მას სურს შეჰქმნას სახე საკუთარი „მე" სი, მსოფლიო სრბოლის რკალში რომ მოქცეულა, და გაითვალისწინოს მისი ძალა ვითარება; მძლე სურვილი პიროვნებისა, თავს ევლება მთელ მსოფლიოს, და მოუთხოვს ღირებულებათა ხელახლად შეფასებას. მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე, ცეცხლის ასოებით არის ამოჭრილი სიტყვა ურჩი და უკმაყოფილო პიროვნებისა. ისტორიის ტალღა ჭფარავს სხვა ტალღას, ცხოვრების დუღილი განუწყვეტლივ აწარმოებს, და ამ მსოფლიო მოქმედებაში, ადამიანიც ჭფეთქს, არსებობს, ადამიანი ეძიებს ადამიანს, და ამ მსოფლიო ქუხილში უხმობს მას, უყვირის. ადამიანი არ სჯერდება ადამიანს, და ჭფიქრობს ღმერთის შექმნას, ანუ თავის თავის გაღმერთებას. და გააღმერთა კიდეც. შეჰქმნა ღმერთი

---

*) პწკალებში მოთავსებული შ. არაგვისპირელის ეტიუდ-ესკიზების სათაურებია

და საფუძვლად ადამიანი დაუდო. ეს იყო ერთგვარი „ღმერთ-კაცი“.. ასე მიდიოდა დრო.. იცვლებოდა ახალით, და ასე დაუსრულებლივ. დაიწყო ახალი ხანა..ე. ი. ახალი სურვილი ადამიანისა. ადამიანი თავის მიერვე შექმნილს, ხოლო თავისზე მაღლა მდგარს ღმერთს ვერ იტანს. მან, ურჩმა, მოსპო სხვა-და-სხვაობა ამ ორი სახის: ღმერთისა და კაცის, და სთქვა: „ნამდვილი ადაიმანი ყოველთვის თან-და-თან ღმერთად იქცევა ადამიანად ყოფნა და ღმერთად გადაქცევა, ორი გამოთქმაა ერთი და იმავე აზრისაო“. (ფრიდრ. შლეგელი). დიაღ, ადამიანმა მოისურვა სწორ-ადამიანობა, ე. ი. ღმერთობა, და ცას ესროლა ნაღმი. სურდა ღმერთს დაეთმო ადგილი ადამიანისთვის. „ადამიანმა მოჰკლა ღმერთი მხოლოდ იმისთვის, რომ თვით გამხდარიყო მხოლოდ ერთ ღმერთად“ (მაქს-შტირნერი). და აქ არის თვით ადამიანობაც მხოლოდ ამ დაუსრულებელ ძიებაში. ამ უკიდურეს უკმაყოფილებაში ცნაურდება მისი ძალა, მისი ადამიანური „მე“, თორემ მხოლოდ ანატომიური სხეული და ფიზიოლოგიური ნაშენობა, მარტო კაცის სახე-მიდებულ მაიმუნს აქანდაკებენ. ადამიანი სცოცხლობს და სცხოვრობს მას თავის არსებაში გადააქვს მთელი მსოფლიო და უგვირდება. იგი მთრთოლვარე ხელით სწონავს არსებულობას და იტანჯვის, როდესაც მისი უკმაყოფილება დაბლა ჭხრის პინას. ხოლო უკმაყოფილო რჩება მის შემდეგ, რაც მის თვალწინ ნათლად აშკარავდება მთელი სიძუნწე და მოსაზღვრულობა ადამიანის აზრის, სიცოცხლის, არსებობისა. იგი წინ გაიცქირება, იქ კი ბნელით არის მოცული არემარე. ერთი-ორი ნაბიჯი, და იწყობა შავი, უღრანი ტყე, რომელშიაც ვერ ვბედავთ შესვლას, გვეშინიან. ტყეს კი ვხედავთ, მაგრამ მხოლოდ წინა ხეებს... იქ, სიღრმეში რა არის, ამას ვერ ვიგებთ, რადგან ტყეში გზას ვერ ვიგნებთ, და ასე ბნელით მოცულნი, უგზოობის ჯაგებში გახლართულნი, ვსწყევლით „ბედის-წერას“, ვსწყევლით ჩვენს არსებობას. „ადამიანო, დასცხრი, დაწყნარდი“ (შ. არაგვისპირელი) ჩამოგვძახის უცნობი ხმა, განუწყვეტლივ ერთ კილოზე მეტყველი, ხოლო მსოფლიო მეფისტოფელი კი კვლავ დასტირის ძიების სურვილით შეპყრობილს, ერთი შეხედვით საბრალო ფაუსტს. მაგრამ ფაუსტი სულაც არ არის საბრალო. არ არის მიტომ, რომ იგი შეგნებული უძლურია, რომელმაც მხოლოდ ერთი რამ იცის, სახელდობრ: — უნაყოფოა ხე ცნობადისა და სწორედ აქ არის მთელი მისი სიძლიერე. რა უყოთ, რომ ამ სურვილმა ყველაფრის ცოდნისამ მოსტეხა მაძიებელი, და ჭაბუკი, ვნებით ანთებული, ციგ მოხუცად აქცია. მას მაინც წარმტაცად ეხატება ხე ცხოვრებისა, რომელიც მას აწვდის ახალ ახალ სასიცოცხლო ძალას, ძალას სიკვდილამდე ძიებისას, და იგიც ეძიებს-რა, ასე ჭქმნის მსოფლიო დრამას. „მხოლოდ დაუცხრომლობაში ცნაურდება ადამიანიო“, — ეს ფაუსტის ნათქვამია. ასეთივეა შინაარსი ყოველი ადამიანისა. „ხე ცხოვრების წარმტაცად ჭყვავისო“, -რომ ამოიკითხა ფაუსტმა ჯადოსნურ ნოსტრდამის წიგნში, ეს ადამიანის „მე“ დან არის ამოგლეჯილი, მის შინაგან სასიცოცხლო ძალზეა მეტყველი. და თუ მიუხედავად ხე ცნობადის უნაყოფობის, ხე-ცხოვრებისა მაინც ჭყვავის, ისე ადამიანიც, მიუხედავად მისი გონების მოსაზღვრულობის, იგი მაინც სიცოცხლეს განაგრძობს, გონებითი უარყოფით, მაინც სიცოცხლის სიძლიერეს ადასტურებს. ხოლო ვიდრე იცოცხლებს ადამიანი, ბევრჯელ გაიმეორებს „მე ღმერთი ვარო“, ბევრჯელ იტყვის „მე მდილი ვყოფილვარო“, და ყოველთვის კი თავის პირადობის გარშემო იტრიალებს. ესაა თავი და ბოლო იმ შავი წიგნის, რომელზედაც ცეცხლის ასოებით სწერს ადამიანი თავის ისტორიას.

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

# ხმა ბრძოლის ველიდან

ახ, როდის გადაიდარებს,
როდის შესწყდება ქუხილი,
რომ მეომრებმაც იხარონ,
და გაჰქრეს გულის წუხილი,
ნეტავ მოვესწრო მე ამ დროს,
ნეტავ დამიცხრეს ტკივილი
და შესწყდეს, შესწყდეს მუდმივად,
ქვეყნის მოთქმა და ჩივილი

**ჯარისკაცი ვანო ლომჯანიძე**

## იშვიათი მოვლენა



სტოკჰოლმის მცხოვრებელი მარიამ ეკი, რომელმაც სამი ბავშვი ჰშვა ერთად. დედაც და ახლად შობილნიც კარგად არიან. ამ მოვლენამ საექიმო მეცნიერთა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

# უსამართლოდ დასჯილი

I

კავკასის მთას რომ თოვლი ძევს
წყაროდ, მდინარედ, დნებოდეს,
მის სარტყლად მწვანედ მოსილი
ტყე ველი მზისგან თბებოდეს,
აღტაცებული ბულბული
ყვავილებითა სტკბებოდეს,
მხარ დაყრდნობილი ჩრდილოში
გლეხი მისის ხმით თვრებოდეს.

II

აგერ ალაზნის პირზედა
ქალი წყლით ავსებს კოკასა.
ნიავო! გიშრის ნაწნავით
ნუ დაუჩრდილავ ლოყასა.
და ვინც იხილავს მშვენიერს
გული დაუწყებს ძგერასა,
იმისი ერთის კოცნისთვის
მადლს შეჰძლევნის ბედის წერასა.

III

შორით შესცქერის ვაჟკაცი
წვერ-ულვაშ ამწვანებული,
შავთა თვალთაგან ცეცხლსა ჰყრის,
თრთის ის სისხლ-აღელვებული;
ვინც ნახოს ვარდი გაშლილი
ან ლეღვი წითლად ღებული,
ვით დასთმოს ვნება სურვილი,
უმზერდეს დამშვიდებული?

IV

ვითა მიმინო მწყერს ეცეს,
კლანჭი გამოჰკრას, დასცეს ძირს,
ანუ ყელწითელ ხოხობსა
ქორი აცლიდეს ბუმბულის ხშირს,
ისე ყრმამ ცხენი .მ აგდოს,
გადმოხტეს გაშმაგებითა,
მიუხტეს ქალსა შეიპყროს,
გულში მიიკრას ვნებითა.

V

ვით წუმწუმას მოედოს და
მოეკიდოს ცეცხლის ალი,
ისე ხვევნამ, ტუჩთა კოცნამ
დაუმონოს ყრმასა ქალი...

VI

ცოლი შინ მისვლას გვიანობს,
ქმარი ვერ უძლებს თმენასა,
გულსა უწუხებს შემთხვევა,
პირში ვერა სძრავს ენასა,
ადგეს და კარში გავიდეს,
ჩაჰყვეს ალაზნის დენასა,—
ნახოს რა ნახოს ბედკრულმა,
ვინ დასთმობს ამდენ წყენასა?

VII

შეაპრიალა ქმარმა მყის
ლეკური წვერ-ბასრიანი,
გული გაუპო მიჯნურთა,
დღე დაუბნელა მზიანი,
სისხლი ალაზანს შეურთო
დაბრუნდა კაეშნიანი.
ამ სურათისა მნახველი
მთაც კი ატირდა კლდიანი...

VIII

ბორკილი მოაქვს ჯალათსა,
ჭაბუკისათვის სჭირია.
ციხის კარებიც გაიღო,
ვითა ვეშაპის პირია,
შეაგდეს ხელ-ფეხ შეკრული
„დათუნა“, კაცის მკვლელია,
კლიტე დაადვეს ციხესა,
კარს დაუყენეს მცველია,
უნდა მზე სჭვრეტდეს მაშვრალსა,
სიცოცხლე მისთვის ძნელია

**თ. აბელ ოთარისძე ჩოლოყაშვილი**










**მამედ ემინ რასულზადე** — თათ. გაზ. „იღბალი"-ს რედაქტორი; **ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევი** — პირველი სათათბიროს წევრი; **რუშენ ბეი ეფენდიევი** — მასწავლებელი

თათრების წარმომადგენელნი, რომელთაც სათანაგრძნობო სიტყვები წარმოსთქვეს აკაკის დაკრძალვის დღეს 8 თებერვალს, ერევნის მოედანზე—თოფჩიბაშევმა რუსულად, რასულ ზადემ და ეფენდიევმა—თათრულად.

# სიყვარული

სიყვარული!.. სიყვარული!..

ძველის-ძველი მცნებაა, მთლად გაქალარავებულია და მაინც ნორჩია, მომხიბლავი...

„პირველად იყო სიყვარული და სიყვარული იგი იყო ღმერთი". .

ოღონდაც... ოღონდაც!..

პირველად იყო სიყვარული და უკანასკნელადაც ის იქნება...

ქვეყნიერობის მწუხრისას, როდესაც დასცხრება, ჩანავლდება ცხოველი მზე, შეღონიოშდება, გამქრქალდება ლაჟვარდი და უჩვეულო სიცივისაგან მოიშუშება ზურმუხტოვანი დედა-მიწა— მაშინაც კი მომაკვდავთა გულის უკანასკნელი აღმოკვნესა სიყვარულის ძახილი იქნება. ,

სიყვარული...

რა ჯადოსნური ძალაა...

რას არ ჩაადენინებს ადამიანს...

რისი ბრალია, თუ არა სიყვარულის, რომ ყოველ დილით ქალწულთა ლოგინი დათენთილ-დასრესილია და ქალწულნიც მოდუნებულ-მიბნედილნი არიან—თუმცა მამაკაცის აჩრდილიც კი არ გაჰკარებიათ ახლოს...

რაღა ქალწული, თვით განდეგილი ბერიც კი, რომლისთვისაც უცხოა სიხარული, და სიგიჟმაჟე—თოლიასავით აფრთოლდება და ღრმად ამოიკვნესებს ხოლმე, როდესაც შემოესმება ვარდის ბუჩქებში დავანებული ბულბულის სტვენა...

რისთვისა ჰკვნესის განდეგილი?

რას აგონებს ბულბულის სტვენა?

— სიყვარულს... ტკბილს სიყვარულს მისგან უაზროდ უარყოფილსა.. ტრფობის პირველ ამბორს—შემდეგ ვაჰ, ცოდვად აღსარებულსა ..

სიყვარული...

ვინ, ვინ არ იცნობს ამ ძლიერს გრძნობას? .

სიყვარულზე გვიგალობებენ ფირუზს ტალღებში მოკამათე ვარსკვლავთა ხომლი.

სიყვარულზე გვიამბობენ უმშვენიერესს ლეგენდებს ზღვის მოვერცხლილი გიჟმაჟი ზვირთნი.

სიყვარული, მხოლოდ სიყვარულია, რომელიც ფასკუნჯის ფრთებს გვანიჭებს და მიგვაფრენს ამ საცოდავი დედამიწიდან მარადისობის წალკოტისაკენ..

სიყვარულია ცხოვრების სიხარული და ნეტარება.

უგალობებდეთ ყველა სიყვარულს...

როკვით ვიტყოდეთ მისს ქება-შესხმას.

**დ. თურდოსპირელი**



აკაკი და ვარლამ რუხაძე

# აკაკის ნაკვესები

ერთი მოსამსახურე სჩიოდა: მე რომ აქ თქვენში თქვენთანა ვარ, ვმსახურებ, თქვენთვის ვწვალობ, თქვენთვის ვიტანჯებიო და თქვენ კი არ მაფასებთო —როგორ არაო,—მიუგო აკაკიმ— მეტი არა შეგვიძლია რა და ღმერთს კი ყოველ დღე ამას ვეხვეწებით: „ყოვლად შემძლებელო, ნუ სტანჯავ ამ კაცს უბრალოდ ჩვენთან, შენ მოუმართე ხელი და საიდამაც მოსულა—იქვე წაიყვანეო

— —

ერთმა მელოტმა სთქვა: ერთ ლამაზ ქალს წიგნი მივსწერე, ვსთხოვე, რომ ისე შეგინახავ, როგორც ჩემს თავს, მაგრამ მაინც არ შემირთოო...—სწორედ მაგ მიზეზით დაგიფრთხვიაო: რა სასიამოვნოა მუდამ შიშვლად და ცარიელად დარჩენაო? მიუგო აკაკიმ.

# მოფურჩხული

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ №12)

**მატ.** არა, იყოს, დასჭირდებათ, მიბრძანდებიან.

**კატარ.** ჰო, მართლა .. სეირი არაა — ჩვენ გვისტუმრებდენ და.. სასაცილოა. .

**მატ.** განა საცინარია ჩემი მდგომარეობა ვის ხელში ჩამაგდო იღბალმა

**კატარ.** აპა, აპა!. .

**მატ.** აქამდის როგორ გავუძელი ამდენს, ამდენს...

**კატ.** დიდება თქვენ სულგრძელობას, ქალბატონო...

**მატ.** და ძლივს, მგონ ა მეშველოს ახლ .

**კატ.** ცხადია, კატა და ძაღლი რაფერ მოთავსდება ერთად.

**სიკ.** (გამოაქვს შეკრული „საქმეები“, ჩემოდნები, დაფთრები და სხ.) თუ თქვენ რჩებით, აბა ჩვენ ვეღარ წავსულვართ, საწყალი. ეტლი ხო არ გაგიშვია, ბოშო?

**კატ.** არა, თქვენ გიცდისთ.

**სიკ.** აქამდი თქვენ გიყურყუტებდათ და ახლა ჩვენ მინუტში მზათა ვართ...

**კატ.** მიბძანდით. . კალთას არავინ ჩამოგაგლეჯთ ..

**სიკ.** (გააქვს ნივთები, ისევ დაბრუნდება და კიდევ გააქვს) რაცხა შვილი იქნებით უჩვენით—იმასაც ვნახავთ...

**მატ.** ხმას ნუ სცემ. ერთგული ყმაა თავისი ტიტულიარნი სოვეტნიკის. რასაკვირველია წაყვება.

**კატ.** წაყვე რა... ჩვენ რაში გვინდა?!

**მატ.** არა, შენ კი ეკურკურებოდი მაგ ბიჭს, მგონია. ოო, ჩემო კატარინა, ღმერთი არ გაგიწყრეს! რა ბედნიერი ხარ, რომ ქმარი არ გყავს...

**კატ.** ვითამ?!

**მატ.** ასიკო ცაგარლის ერთი გმირი ქალიშვილი ასე იხსენიებს მამაკაცებს: უუ, გაწყდეს თქვენი სინსილაო.

**კატ.** საწყალი, ძალიან გულჩათუთქული კი ყოფილა...

**სიკ.** (შემოდის და კარებისაკენ გადის) ასე ვცდით ჩვენ! (მიდის)

**მატ.** (სიკოიაზე) ნეტა, რას დუდღუნებს! ვეღარ გაათავეს?

**კატ.** ჯერ სადა... ათი ფუთი მარტო „დელოები“ და „უსტავნები“ იქნება.

**სიკ.** (კატარინას) შენ, გეყურება — აქანა ჩემი რაცხაები რჩება — არაფერი დამეკარგოს, თვარა „ატვეჩაის“ შენ მოგთხოვ...

**ბრეგ.** (შემოდის გამოწყობილი) მორჩი, სიკოია, ჩაიცვი ჩოხ! აქ კიდევ არა რაღაცაები — ახლავე დროგია და მუშას გამოვგზავნი და წაველებინებ... მშვიდობით.

**მატ.** მშვიდობით!

**ბრეგ** მე ქვენ ბევრი რამ მაკადრეთ. სასაცილოთ აიღეთ ჩემი ჩინი, ხარისხი, ჩამომავლობა... მარა ამისთვის არ გიჯავრდებით... ღირსად არა გთვლით...

**მატ** მერსი!

**ბრეგ.** შემინდვია ყველაფერი..

**მატ.** ეტლი სდგას.

**ბრეგ.** იდგეს — ფულს მე ვაძლევ, ჩემი ოფლითა და შრომით ნაშოვნს.. ოო, რა რიგ დამიტანჯეთ მე თქვენ სიცოცხლე, თქვე, თქვე, არარაობავ — შექპირისა არ იყოს.

**მატ.** გაწყდეს თქვენი სინსილა — ასიკოსი არ იყოს. ეტლი სდგას...

**ბრეგ.** რა უგულო ადამიანი ხართ...

**მატ.** (ყურებში თითებს იცობს)

**ბრეგ.** არ მოგეწონათ.. ნუ იცობთ ყურებს, როცა გელაპარაკებით... მე ქმარი ვარ...

**მატ.** იყავით და, მადლობა ღმერთს, აღარა ხართ...

**ბრეგ.** გველის წიწილავ! (მოტრიალდება და მიდის)

**მატ.** ოო, ძლივს!..

**ბრეგ.** (შემოტრიალდება) რაო, გაგიხარდათ!?. ნურას უკაცრავად, აღარ მივდივარ! ბიჭო, სიკოია!

**სიკ.** (შემოირბენს ხურჯინით) მზათა ვარ?

**ბრეგ.** შემოიტანე ყველაფერი... არ მივდივართ! (მიდის თავის ოთახში)

**სიკ.** ეგეც თქვენი ნებაა. (მიდის, შემოაქვს ბარგი) თუ თქვენ რჩებით რა — ჩვენ ვეღარ დავრჩით. 1) ახლა თქვენ წადით თუ გეპრიანებათ! 2) ეს ბარგი, რავარც ჩავაწყე ისე ამოვალაგე. 3) იზბოჩიკი კი გადამერია, მარა არაფელია მისი... (სამჯერ გადის და შემოაქვს ბარგი და ყოველ შემოსვლაზე ასე ლაპარაკობს)

**ბრეგ** (შემოდის პალტო და ქუდი დაუტოვებია)

**მატ.** (სავარძელში ზის და ტირის)

**ბრეგ** ტირის?! მიზეზი თქვენი ტირილისა?

**მატ** ჩვენ რო შვილები გვყავდეს, რა უბედურები იქნებოდენ. .

**ბრეგ.** შვილები??და განა რა ულრობაა.. უთუოდ გაგვიჩნდება. . მერე პაწაწინა ფეხებით რო დეიწყებენ: — პაკი პუკი, პაკი-პუკი, აქედან პატალა გოგუცუნა.

**მატ** აქედანაც კიდევ ერთი ნამცეცა ბიჭუკელა.

**ბრეგ.** გიყვართ პატარები?

**მატ.** გაგიჟებით!

**ბრეგ** ეგ ამოწმებს, რო თქვენ კაი გულისა ყოფილხართ.

**მატ.** ოო, სულ დავჩქმეტდი, დავუკბენდი პუნჩულა ლოყებს.

**ბრეგ.** მე?(მუთაქს)ავიყვანდი ასე და შევისროდი და შევისროდი ბურთივით..

**მატ.** (შეკივლებს) აი, ფრთხილად!

**ბრეგ.** (მუთაქა გაუვარდება) რა იყო!?

**მატ.** რა უხეირო ხარ.. პატარაც რო ეგრე გიყვარდეს...

**ბრეგ.** აბა, რას ამბობ, ბავშს, ჩემს ბიჭუნას ის კი არა, ასე ჩავიკრავ და ჩავკოცნი! (მუთაქას იკრავს და ჰკოცნის)

**მატ** მეც, მეც... (მიდის ისიც ჰკოცნის მუთაქას მერე ბრეგვაძე მატრონას კოცნის ორივე უცბად ხელს გაუშვებენ მუთაქას, ერთმანეთს მიაშტერდებიან და გადაიხარხარებენ)

**ორივე** ეტლი!?

**ბრეგ.** მე აღარ მჭირია...

**მატ.** აღარც მე .. გავისტუმროთ ..

**ბრეგ.** არა. ცოდვაა, დიდი ხანია იცდის, გავისეირნოთ.

**მატ.** გა...ვი...სეირნოთ... კატარინა! ქუდი და ქოლგა.

**ბრეგ.** სიკოია! ქუდი და ჯოხი (შემოაქვთ)

(ბრეგვაძე და მატრონა ხელ-გაყრილი გავლენ. სიკოია და კატარინა ერთს ხანს სახტად დარჩებიან და თვალს გააყოლებენ, შემდეგ მიასტერდებიან ერთმანეთს და გადაიხარხარებენ)

**სიკ** აა! კატარინა, ძმაო, რას იტყვი, არა აქ მაგენს მოფურჩხული?

**კატ** აჰა, რა ხეირი დეეყრეპოდათ, მინდორში რო კოტრიალობენ, ცივ მოლზე... ამისთანა სეირს არ შევსწრებივარ.. მე კარებიდან ვჭვრეტდი..

**სიკ.** (ებღაუჭება) მერე და შეჭვრიტინება რო „ნიხარაშო“, არ იცი შენ?..

**კატ.** ოჰ, დღმეთხუე ახლა შენ.. დამიწყე კიდო..

**სიკ.** ჰო, ჩუმა, ნუ კვინტრიშობ... გონია შენც მოგფურჩხვია... თუ მასეა—წამალი ვიცი მე

**კატ.** რა წამალი?

**სიკ.** ხატი-ნაბანი და გამოლოცვა... გამოგილოცავ, თუ გინდა?

**კატ.** გეიწი იქით!

**სიკ** რო ხვანხვალობ, რას ხვანხვალობ... გამიკუნტრუშდი თვარა, ახლავე ფაიტონს დაუძახებ, და გაგაკატავებ, არა. მე სხვაფერ ვიცი მოფრჩხულის გამოლოცვა... წამოდი და გამოგილოცავ..

**კატ** სა წავიდე—აგერ სთქვი ი ლოცვა

**სიკ.** ოო, მაგ ჭკუაზე ვარ ამ ალაიაში მ თქმევიე ახლა ლოცვა, ისტავლის ყოველი კაცი და მერე მე რაღა ფასი მექნება.. შტერი ხარ შენ წამოდი კუხნაში და გამოლოცვაც ბუდით!

**კატ.** (ადიზიანებს სიცილით გაექცევა) ძაღლი ათრიე კუდით!.. (სიკოია გამოუდგება)

ფარდა



# გასული სეზონი

(1914—1915)

როგორც მოგეხსენებათ, გასულ სეზონში ქართული წარმოდგენების საქმე სისტემატიურად მხოლოდ სამგან წარმოებდა: თბილისს, ქუთაისსა და ბაქოს.

დღევანდელ ვითარებათა გამო უველგან სახიფათოდ იყო მიჩნეული სეზონის საქმე: ირგვლივ ასეთი ამბები ხდება—გარეთ ომი, შინ შიმშილობა, ათასი გაჭირვება, ათა ათასობით დამწუხრებული ჭირისუფლები, ყველა ეს დიდათ ხელის შემშლელი პირობები იყო სეზონის რიგზე წასაყვანად, მაგრამ საბედნიეროდ, უკვე ვიცით, რომ ნივთიერის მხრით საქმე უველგან რიგიანად დასრულდა. ზოგან მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

და აი სწორეთ ეს გარემოება ძალიან ბევრს გვეუბნება.—ჩვენ ხალხს ჯერ გული არ გასტეხია.

„იგივ მხნე, იგივ **მღერალი, მებრძოლი** შავის ბედისა“..

მხატვრულის მხრივ, უნდა გამოვტყდეთ, ბევრი არაფერი გაკეთებულა წრეულს ჩვენს სცენაზე. არც ჩვენს რეპერტუარს შესძენია თვალსაჩინო რამ ნაწარმოები, მაგრამ აქტივისათვის ისიც ჩასათვლელია, რომ ჩვენი თეატრი ვერ გაიტაცა წრევანდელმა საომარმა პიესებმა და ამითი იგი არ გადასცდა წმინდა ხელოვნების გზას.

მაშასადამე დღევანდელს პირობებში საქმე უველგან რიგზე წავიდა.

ომი არ უოფილიყო, წრევანდელს სეზონს ბევრი რამ კარგი უნდა ეთქვა... მაგრამ, როდესაც მხოლოდ თავის დაცვაზე იყო საქმე მიმდგარი და როდესაც მან თავი'ი თავი ღირსეულად დაიფარა, მაშინ მოწონების მეტი აღარა დაგვრჩენია-რა.

ზოგჯერ შემოქმედება უფრო ადვილია, ვიდრე უკვე გაკეთებულის შენახვა და შენარჩუნება. ჩვენი თეატრიც თითქო მიხვდა, რომ ამ **შენარჩუნებისათვის** უნდა ეზრუნა გასულ ხეზონში და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მან მოახერხა.

უველაზე უფრო ცუდი მდგომარეობა იყო თბილისელების. განსაკუთრებით იმ დიდი უბედურების შემდეგ, რაც თეატრი დაეწვათ და **იძულებულნი** გახდნენ ამხანაგობა შეედგინათ.

მაგრამ აქაც ერთხელ კიდევ ამხანაგობის პრინციპმა გაიმარჯვა. ამიტომ ჩვენი ურწმუნო თომანი, რომელთაც მსახიობი „უპატრონოთა“ ვერ წარმოუდგენიათ, ამიერიდან უნდა გაჩუმებულ იქმნენ, რადგან თვით იმ კრებულმაც კი ქართველ მსახიობებისამ, რომელთაც სულსა და გულში არა ჰქონიათ საამხანაგო საქმე მოეწყოთ, მოახერხეს საქმის გაძღოლა.

როგორც ვიცით, გასულ სეზონის თბილისელი დასი მოწვეული იყო ოფიციალურ საზოგადოებისგან განსაზღვრულ ჯამაგირზე, მაშასადამე იმათ საამხანაგო საქმის იდეას ვერ მოვთხოვთ. ისინი ამხანაგობისთვის არც შეკრებილან, ისინი დაქირავებულები იყვნენ და თუ რამე აერთებდათ, იმდენად ერთად შრომის სურვილი არა, რამდენადაც მხოლოდ თვით თეატრის მსახურება.

მაგრამ ამ კრებულმაც კი, რომელიც, ვიმეორებ, მხოლოდ მოწვევით იყო გაერთიანებული, შემდეგში, როდესაც მათზე უფრო გამოცდილებმა და გავლენიანებმა „ჭირსა შიგან“ ვერ გამოიჩინეს ქვითკირობა, თვითვე **იძულებით** შეადგინეს ამხანაგობა და ყოვლად შეუწყნარებელ პირობებში, უბინაომ და უქონელმა შესძლეს წარმოდგენების ღირსეულად მოწყობა და საქმის წარმოება.

მაშასადამე ამხანაგობის პრინციპი არაოდეს არ არის დასაგმობი და ნუ ვიტყვით, რომ ქართველი მსახიობი ამისათვის არ იყვეს მომწიფებული. ამის განმამტკიცებელი მაგალითი, სხვათა შორის, წრევანდელ თბილისის დასიც არის. თუ კი მათაც ეს მოახერხეს, როდესაც არცა ნდომიათ „ამხანაგური“ საქმე, რა იქმნება, როდესაც ამ იდეისათვის დაკავშირდებიან და ნამდვილის გულით შეუდგებიან საქმეს.

ასე რომ ამ მხრითაც გასული სეზონი აღსანიშნავია.

თითქო თვით ბედმა, უსათუოდ დიდმა უბედურებამ — თეატრის დაწვამ — ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენა, რომ მართალნი ვართ ისინი, ვინაც ამდენი ხანია ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ ქართველ მსახიობს უკვე შეუძლიან თავის თავს გაუძღვესო...

მაგრამ საერთოდ ყველაზე უფრო სასიხარულო და აღსაფრთოვანებელი ის არის, რომ თვით ხალხი არ დაფრთხა, მან არც წრეულს აქცია ზურგი მის საყვარელ თეატრს.

პირიქით წრეულს თითქო უფროც წამოვიდა მისკენ.

არა, მართლა რომ არ მომკვდარა ჩვენი ხალხი.

თავს ათასი ყორანი დასჩხავის, უბედურება უბედურებაზე მოსდის, საუკეთესო შვილები ხელიდან ეცლება, იმედს და მომავალს ბრძოლის ველზე ჰფანტავს, მაინც იგი რადაც საიდუმლო შეთანხმებით გარეთ ასრულებს თავის სამხედრო მოწოდებას და შინ მოქალაქობრივ მოვალეობას..



# ქართველების „მატიცა“

(ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგადოება)

„ახლანდელ დროში უსწავლელი კაცი უხორთუმო სპილოა, უბრჭყალო ლომია არსებობისათვის ბრძოლაში, უფარ-ხმლო მეომარია და რაც გინდ ვაჟკაცი იყოს, დამარცხებულია და ძლეული“.

საოცნებო, მომხიბლველი, სულისა და გულის დამატკბობელი იყო საქართველო, ფრთებ გაშლილი, საქართველო თვისი კეთილშობილური „მე“-თი. ერთ ხელში კაცთ-მოყვარეობის, ძმობა. ერთობის და თავისუფლების ემბლემით — ჯვრით და მეორეში ხმლით. ხმლით მარტოოდენ იმიტომ, რომ ამ წმიდა ემბლემას არავინ შეხებოდა და მტკიცედ და შეურყევლად დაეცვა თვისი არსებობის საკეთილდღეოთ და საბედნიეროდ. აი, ამ მაღალ იდეების მტკიცედ შეგნებით და მათთვის წარბ-შეუხრელ თავ-განწირვით აიხსნება ის საკვირველი და საგმირო ამბები და ომები, რომლებსაც ვკითხულობთ საქართველოს წარსულ ისტორიაში. ამითი აიხსნება ისიც, რომ საქართველო არ მოისპო, არ განადგურდა საბოლოოდ აურაცხელ მტრებისაგან, რომლებიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში ბუზებივით ესეოდენ და მოსვენებას არ აძლევდენ მას. ქანც გამოლეულმა მხოლოდ მიიძინა ტანჯულის, წამებულის ძილით. ამ ძილში, თავდავიწყებაში ისვენებდა, ძალღონეს იკრებდა, რომ ხელახლა-

ვე გაეღვიძნა ახალი ცხოვრებისათვის და ასეც მოხდა.

დღეს ახალი საქართველო გაღვიძებულია და ფეხზე დგას. ძველ დროში თუ მრავალ თავის კეთილშობილურ მისწრაფებას, თავის არსებობას საქართველო ღირსეულად იცავდა ხმლით, ახალმა საქართველომ უნდა დაიცვას მშობლიურ ნიადაგზე საყოველთაო სწავლა-განათლების საშუალებით.

ვინ მოგვანიჭებს ამ ბედნიერებას? ..

ისევე ჩვენი თავი. ჩვენი ბედის მჭედელი ჩვენ უნდა ვიქნეთ. ეს უნდა შევიგნოთ კარგათ და მაშინ წავა ჩვენი საქმე სასურველად. მით უფრო, რომ ამას ჩვენ გარკვეულად გვიკარნახებს ახლანდელი გარდამავალი დიდი ისტორიული ხანა.—

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — აი, ის კულტურული დაწესებულება, საითკენაც უნდა იყოს მიპყრობილი ყოველი ქართველის იმედი და სასოება. მთელი ქართველობა უნდა გაერთდეს ამ დაწესებულებაში. აქ უნდა სცემდეს მაჯა საქართველოსი, აქ, ამ ეროვნულ დაწესებულებაში უნდა მზადდებოდეს ის უებარი წამალი, რომელიც გამოაბრუნებს და განკურნავს ჩვენს დაავადებულ სამშობლოს, რომელიც რადიკალურად შეებრძოლება ერის უსაშინელესს სენს--გადაგვარებას. —აქ უნდა პოულობდენ ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას მამულისათვის თავდადებულნი მუშაკნი რამდენი ნიჭიერი მწერალი, მგოსანი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი უდროვოდ გამოსალმებია წუთი სოფელს და თავის სათაყვანებელ სამშობლოს უსახსრობისა და ხელ-მოკლეობის გამო ჯეროვანად რომ ვერ მოუვლია თავის თავისთვის. ან ისეთი შრომა უკისრნია ლუკმა პურისათვის, რომელიც აღემატებოდა იმას ისედაც დასუსტებულ ჯანმრთელობას. თვითეული ამისთანა დაავადებულ მუშაკის დაკარგვა-კი აუნაზღაურებელი დასაკლისია მამულისათვის.

მართალია, საზოგადოება ზოგიერთებს არ ივიწყებს და აწვდის თავის წვლილს, მაგრამ ამისთანა დახმარებას, ჩემის ფიქრით, დაუხმარებლობა სჯობია, რადგანაც მოწყალების სახით გამოდის ამისთანა დახმარება, რაც დიდი შემლახველია ადამიანის პიროვნების და თავმოყვარეობის.

რამდენი დიდის ნიჭით, ტალანტით დაჯილდოვებული ახალგაზდა რჩება სრულიად გაუნათლებელი იმავე ბედ-შავ სიღარიბის გამო და მაშასადამე იმის დიდი ნიჭიც თითქმის სრულიად უნაყოფოდ ჰქრება მამულისათვის.

ჩვენ რომ ისე ზედმიწევნით გვქონდეს შეგნებული დიდი მნიშვნელობა ჩვენი წ.-კ. საზოგადოების და ისე გულმხურვალედ ვიღებდეთ მონაწილეობას იმის ბედ-იღბალში, როგორც ეს შეუგნიათ და ამას სჩადიან ჩეხელები თავის „მატიცას“ მიმართ (ჩეხელების წ.-კ გამავრცელებელი საზოგადოება), მაშინ არც ერთი ჩვენი გამოჩენილი მამულიშვილი აღარ დაგვედუპებოდა უპატრონობით და არა ერთი ნიჭიერი ახალგაზდა დაეწაფებოდა სწავლა-განათლებას იმავე „საზოგადოების დახმარებით“.

აქ შორს წაგვიყვანს ყველა იმ დიდი სამსახურის ჩამოთვლა, რომელსაც ხსენებული საზ. გაუწევდა ქართველ ერს, ჩვენ რომ ჩეხელების აგალითს მივსდიოთ.— ჩვენ რომ ვიწვით, იმავე ტაფაში იწვიან ისინიც, მაგრამ მონურად არ მოუხრიათ ქედი თავის მწარე ხვედრის წინაშე და მთელი თავისი სულიერის და ნივთიერის ძალ-ღონით და შეძლებით ენერგიულად ებრძვიან ამ მწარე ხვედრს.

„1880 წ-ში დაიარსეს „წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოება და 1895წ. შეჰკრიბეს $2\frac{1}{2}$ მილიონი გულდენი და 25,000 წევრი ყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხელებს არ ჰყავთ არც მდიდარი არისტოკრატია, არც დიდი მემამულენი (1620 წ. ჩეხელები სასტიკად დაამარცხეს გერმანელებმა. თითქმის მთელი თავად-აზნაურობა გაწყდა ამ ომში. ვინც გადარჩა, ძალაუნებურად უნდა დაეტოვებინა თავისი სამშობლო. მათი ადგილი დაიკავეს გერმანელებმა), მაინც შეჰქმნეს ძლიერი საზოგადოება „მატიცა“ და ამდენი ფული შეჰკრიბეს.

თუ დაახლოვებით გავეცნობით ჩეხელთა ცხოვრებას და გავიგებთ, რომ ყოველი ჩეხელი მზად არის უკანასკნელი კაპეიკი შესწიროს ყოველთვის ყოველსავე ეროვნულ დაწესებულებას, მაშინ ადვილად მივხვდებით „მატიცას“ გაძლიერების მიზეზს.

როგორ უყურებენ „მატიცას“ და რა სახსრით ინახავენ ამ საზოგადოებას,—ამაზე შემდეგ ნომერში.

**ანნა ვართაგავა**

# საიდან აღმოცენდა ჩვენში აზნაურობა

(ზეპირ-გადმოცემა)

ერთს დროს საქართველო ალექსანდრე მაკედონელის მბრძანებლობის ქვეშ იყო. ალექსანდრემ, როდესაც საქართველო დაიპყრო, საქართველოში მმართველად თავის ეჯიბი აზონი დასვა, — აზონიც მაკედონელი იყო. ვიდრე ფარნავაზ მეფე წამოიზრდებოდა, აზონი განაგებდა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ რაი.. მისთანა თქვენს მტერს, ის რომ იყო თურმე.. ისეთი სასტიკი და მრისხანე კაცი ყოფილა, რომ საბრალო ქართველებს თურმე დღეს წუთობით უთვლიდა, მაგრამ როდესაც ფარნავაზი წამოიზარდა, გადისვა თავზე ხელი, არც მისთვის დაუყრია სიკეთე ქართველების წამებისათვის.

აზონის მეფობის დროს, მასთან ერთხელ ორი ქართველი მივიდა და სთხოვა გაგვასამართლეო; აზონმა ჰკითხა: რა გაქვთ გასასამართლებელიო?

ერთმა მათგანმა მოახსენა:

— მე, ბატონო, ამ ჩემი მეზობლისგან მამული ვიყიდე და იმ მამულში ხვნის დროს ერთი ოქროს ზოდი ვიპოვნე, მივედი ამასთან და ვუთხარი: შენგან რომ მამული ვიყიდე, იმ მამულში ხვნის დროს ოქროს ზოდი ვიპოვნე, ის შენია, მოდი და წაიღე მეთქი. ამან უარი მითხრა თავის საქონლის მიღებაზე, ახლა მე ამასა გთხოვთ თქვენ, ძალა დაატანოთ და მიაღებინოთ თავის საქონელი.

აზონმა მოპასუხეს მიმართა:

— შენ რას იტყვი, მიიღებ თუ არა შენს საქონელს?

— რასა ბრძანებთ, ბატონო! მე მაგას მამული მივყიდე. იმ დღიდან, რა დღესაც მაგან მამული ჩაიბარა, მამულიც მაგას ეკუთვნის და მასში აღმოჩენილი განძეულობაც. მე არავითარი უფლება არა მაქვს, მივითვისო სხვისი საკუთრება და ჩემად აღვიარო.

აზონი განცვიფრებული სახტად დარჩა ამ კაცების პატიოსნური ყოფაქცევით და ერთ ხანს ვერაფერ გადაწყვეტილებას დაადგა; ბოლოს იფიქრა: „რადგან არც-ერთი არ ნდომულობს იმ განძს, მოდი ამათ სხვაგვ რ გ ვუნაწილებო".

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ამ ნაფიქრალი აზრის გადაწყვეტილებით შეეკითხა მათ:

— შენ, მიმართა მომჩივანს, შვილი არა გყავს?

— როგორ არა, ბატონო, ერთი ვაჟი მყავს ასაკს მოსული, — მიუგო მომჩივანმა.

— შენ გყავს შვილი? — მიმართა ახლა მოპასუხეს აზონმა.

— დიაღ, მყავს ერთი ასული

— რამოდენა იქნება?

— მომწიფების ხანაში გახლავთ.

დაკითხვა რომ დაასრულა აზონმა, შემდეგი განაჩენი წაუკითხა მათ:

„რადგანაც ნაპოვნი ოქროს ზოდი, ამ ორ პირთა შორის სადავოდ არის და რომ დავის ნაცვლად ზავი ჩამოვარდეს მათში, ამგვარ განაჩენს ვადგენ: პირველმა მათგანმა შეირთოს თავის ვაჟს მეორის ასული ცოლად და ის სადავო ოქროს ზოდი მზითვად მისცეს მათ."

ამგვარი სამართლიანი დადგენილების გულისთვის აზონს დიდი მადლობა გადაუხადეს და დაბრუნდნენ შინ კმაყოფილნი.

ეს ამბავი აზონმა ალექსანდრეს აცნობა დაწვრილებით. ალექსანდრე ამ ამბავმა დიდათ გააკვირვა და თან სინანულიც აღუძრა გულში ამ სალი გონების მქონე ერის დარბევისათვის (პირველ შემოსევაზე ალექსანდრემ საქართველო საგრძნობლად აოხრა). ალექსანდრემ, ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ აზონს შემოუთვალა: „ამნაირი მტკიცე რწმენისა და სამართლიანი ხალხის აოხრებისათვის ღმერთი კეთილს არ დაგვაყრის.. უმჯობესია, ეს პატიოსნების მოყვარე ერი, სამუდამოდ გავანთავისუფლოთ მონობის მძიმე უღლიდანო."

ამ ბრძანების ასრულება ვიღამ აცალა აზონს.. მინამ ის ბრძანებას მიიღებდა, ფარნავაზმა შეყარა ჯარი, — ამ ხნის განმავლობაში ფარნავაზი დავაჟკაცდა, — დაეცა აზონს, ჩამოაგდო ტახტიდან და მაკედონელები სულ-

ერთიანად გასდევნა საქართველოდან. თუმცა ფარნავაზმა მაკედონელები გასდევნა საქართველოდან, მაგრამ აზონი ვერაგზით მოიშორა: ხან სად შეაფარებდა თავს და ხან სად, მაინც რჩებოდა საქართველოში, რაც გინდა ძალან ედევნა.

აზონს ისე შეუყვარდა საქართველო, რომ აქედან წასვლას სიკვდილი ერჩია. შეუჩინა აქეთ-იქიდან მეფეს კაცები, ისარგებლა მეფე ფარნავაზის გულკეთილობით და იმდენი ქნა, რომ ნება დაართვევინა სამუდამოდ საქართველოში ცხოვრებაზე.

გავიდა დრო და ჟამი. აზონის შვილმა და შვილიშვილმა სახარბიელო სახელი მოიხვეჭეს; მეფესაც ძლიერ შეუყვარდა ისინი.

აზონის შვილიშვილებში ერთი შესამჩნევი ლამაზი ქალი ერია, რომელიც სულმუდამ მეფის სასახლეში იყო. ბოლოს კიდეც გათხოვდა იქვე ერთს წარჩინებულ ქართველზე. ამათი შვილები აღიზარდენ სასახლეში და აქვე დაიჭირეს საპატიო ალაგები. უწინდელ დროში შვილები ატარებდენ დედის სახელს და რადგანაც დედა ამათი აზონის შთამომავლობის ქალი იყო, ამათაც აზონაურისშვილებს ეძახდენ. ეს სახელწოდება დარჩა ამათში სამუდამოდ და მათი შთამომავალნი ამ სახელს ატარებდენ. ბოლოს ეს „აზონაურიშვილობა" იმდენი ქლიბეს, რომ „აზნაურობა" გამოქლიბეს! აი, აქედან აღმოცენდენ ჩვენში აზნაურიშვილები.

**ჭიჭიკო**

# ქართული სცენის ქურუმნი

## ტრაგიკოსი ვლ. ს. ალექსი—მესხიშვილი



სწორედ გითხრათ ფრთხილად და მოწიწებით ვეხებით ქართულ სცენის იმნაირ დედა-ბოძთაგანის აგვარგიანობის განხილვას, როგორიც არის ვლ. ალექსი—მესხიშვილი! ვლ. ალ—მესხიშვილის ქართულ სცენაზე პირველი გამოსვლიდან იწყება ქართული თეატრის აღორძინება, მისი განახლება, **რენესანსი.** ჩვენ კარგად ვიცით, თუ ვლ. მესხიშვილის წინად ქართული თეატრი რა გზაზე იდგა, და როგორ ემსახურებოდა თავის დანიშნულებას. გიორგი ერისთავის ხანას, როდესაც დამკვიდრდა და დაფუძნდა ქართული თეატრი, როდესაც საძირკველი ჩაეყარა, იმ ხანას განახლება, გარდაქმნა დასჭირდა მალე, რათა თავი დაეხწივნა იმ გავლენისაგან, რომ ლმიაც იყო და ახალი სწორე გზა მოენახა, მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო. აი სწორედ ამ დროს ბედზე მოევლინა ქართულ თეატრს დიადი ნიჭის პატრონი, სწავლა-განათლებით საკმაოდ აღჭურვილი ვლ. ალ—მესხიშვილი!

მართალია, ვლ მესხიშვილის წინად ბრწყინავდნენ იმისთანა ვარსკვლავები, როგორიც ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი, მ. საფაროვი აბაშიძისა და ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ქართული თეატრის აღორძინების პირველობა, შეიძლება მათ ეკუთვნოდა, მაგრამ ეს პირველობა—მათ პირველობად დარჩებათ და რომელზედაც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი—ის პირველობა კი ვლ. მესხიშვილს ეკუთვნის! ვლ მესხიშვილის წინად მარტო კომედიას, ამ დარგს ჰქონდა ყურადღება მიქცეული და ჯერ თითქმის ჭაჭანებაც არ იყო დრამისა და მით უმეტეს ტრაგედიისა, ამ დიად ხელოვნების, ადამიანის სულის კვეთების გამომხატველის და, როგორც შოპენჰაუერი ამბობს: ყველა ხელოვნებაზე, მუსიკის გარდა, მაღლა მდგარის! ამის შემომტანი, ნოვატორი იყო მესხიშვილი, ისე როგორც რუსეთის დიდებული ტრაგიკოსი პ. მოჩალოვი, რომელიც სახელ-განთქმულ კომიკ სჩეპკინთან ერთად თამაშობდა და რომლის ჰგენიალური ნიჭს გამოუჩნდა დამფასებელი ადამიანი, რომელმაც აღიარა მოჩალოვი უდიდეს ტრაგიკოსად და მასთან ერთად აღნიშნა კიდეც მსახიობის დიდი ნაკლიც! ჩვენ ვლაპარაკობთ სახელ-განთქმულ კრიტიკოსზე ბესარიონ ბელინსკიზე, რომელიც თანამედროვე იყო მსახიობ მოჩალოვისა. ვლ მესხიშვილი—ჩვენი მოჩალოვია! მხოლოდ დიდ განსხვავებით! ჰგენიალურ მსახიობ მოჩალოვს, თუ ჩანგი მომართული ჰქონდა, თუ ციური ნაპერწკლები მოხვდებოდა გულს, ხომ აფეთქდებოდა მისი ტემპერამენტი ვულკანისებრ, ზღვასავით აბობოქრდებოდა და მაყურებლების წინ დიად სასწაულებს ახდენდა კიდეც! და თუ მისი ჩანგი შესწყვეტდა ჟღერას, მაშინ მოჩალოვი ზეცაში აღფრენილი, უმალ ეშვებოდა ისევ ძირს და მისი შემოქ ე-

დება, ვით ნაპერწკალი ისე ჰქრებოდა. რადა ხდებოდა ეს ასე?! იმიტომ რომ მსახიობის-თვის ნიჭი და ჩანგი არა კმარა მარტო. მის-თვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ტეხ-ნიკა და სწავლა-განათლებაც. სწორედ ეს აკლ-და დიდებულ მოჩალოვს და ამით აიხსნება კიდეც, რომ მან თავის გზის გავლის შემდეგ ვერავითარი კვალი ვერ დასტოვა. ვლ. მესხი-შვილს-კი ნიჭის გარდა, ტეხნიკა და ცოდ-ნაც აქვს, რის წყალობითაც მან შექმნა ჩვენში ერთგვარი სკოლა, ერთგვარი ხელოვნების ტენდენცია და ეს მხარე მის ინტუიციად უნდა ჩაითვალოს მოჩალოვზე. ყველაზე დიდი ღვა-წლი ჩვენი სასიქადულო მსახიობისა ის არის, რომ მან პირველად გააცნო ქართველ საზოგა-დოებას უდიდებულესი ჰენიოსი მწერალი შექსპირი თავის უნივერსალური ნაწარმოე-ბით.

(შემდეგი იქნება)

**ვ. გარრიკი**

# ქართული სახიობა

**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზ-ის თაოსნობით** ოთხშაბათს, 25 მარტს „საარტ. საზ." დარბაზში გაიმართა ფრიად საყურადღებო, მრავალფე-რადი დილა აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად. დილა და-იწყო $12^1/_2$ ს. საზ. თავმჯდ. გ. ჟორდანიას სიტყვით, რომელმაც მოკლედ დაახასიათა აკაკის ღვაწლი ქარ-თული კულტურისა და სამშობლოს წინაშე. შემდეგ სოფ. მგალობლიშვილმა მოუთხრო საზოგადოებას თვი-სი მოგონებანი. მეტად შინაარსიანი, საუცხოვო და მრავალმეტყველი სიტყვა წარმოსთქვა ივ. გომართელ-მა, რომელმაც მკაფიოდ, ყველასათვის გასაგებად დაა-ხასიათა აკაკი, როგორც ჩვენი მამულიშვილობის მო-ციქული და საქართველოს განახლების წინასწარმეტ-ყველი. მოლაპარაკე ხანგრძლივი და აღტაცებული ტა-შით დააჯილდოვეს. შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ, სიტყვა შინაარსიანი იყო, მაგრამ ბუნდო-ვანი, ბევრისთვის გაუგებარი. პატივცემული ლექტო-რი რომ უფრო გასაგები ენით ილაპარაკებდეს,

—მისთვისაც სასარგებლო იქნება და მსმენელთათვისაც. „გრამაფონმა" ამოიკითხა აკაკის ლექსები და სიტყვა. ჰაზირას დასტამ დიდი თანაგრძ-ნობა დაიმსახურა, განსაკუთრებით მდაბიო ხალხში. ჰაზირას აკაკის რამდენიმე ლექსი სასიმღეროდ გადაუ-კეთებია და როგორცა სჩანს თვისი დასტით ხალხშიაც გაავრცელებს, რაიც მოსაწონია. სასიამოვნო შთაბეჭდი-ლება მოახდინეს შავრეზაშვილის ასულებმა—დებმა. უფროსმა მათგანმა მომხიბლავად იმღერა „სიოვ ნაზო", რის გამო საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილ-დოვა. საზოგადოების თხოვნით მეორედ იმღერა. რო-გორც შევიტყეთ, ეს ორი დანი ქართველი კათოლი-კის შვილები არიან, სამუსიკო საწავლებელში სწავლობ-დენ და უმაღლესი სამუსიკო განათლების მიღება განუზ-რახავთ. დასასრულ მ. ლომიძის ლოტბარობით ქართულმა გუნდმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა. განსაკუთრებით კარგი იყო „ქონა" „ორი ოდელია" რომ არ ემღე-რათ, სჯობდა. ამ დილას არ მოუხდა. საუცხოვო სუ-რათი იყო, როდესაც ბ-ნ ლომიძის გუნდი აკაკის ალალმას გარშემოერტყა და „ქრისტე აღსდგა!" იგა-ლობა. საზოგადოება მეხუთე საათზე დაიშალა. სასუ-რველია ასეთი დილა ხშირად გაიმართოს.

**უსავანო**

# წვრილი ამბები

◆ **„თეატრის და ცხოვრების" რედაქციის** თაოსნობით ლიტერატორთა წრეში წაიკითხეს გ. ქუჩიშვილის ახალი დრამატიული პოემა „ნაადრევი ვარსკვლავი"; პოემა ახასიათებს ორს მიმდინარეობას—რეალისტურსა და იდეალისტურს, ახალ ყაიდაზეა დაწერილი და ფრიად საყურადღებო. ავტორს რამ-დენიმე შენიშვნა მისცეს ზოგიერთ უნებლიეთი ნაკლის შესწორების შესახებ. ამავე ლიტერატორთა წრეში გამოითქვა აზრი დაფუძნდეს სალიტერატურო სალონი.

◆ **მგოსანი გ ქუჩიშვილი** იმუშავებს თავის ახალ პოემას „ნაადრევ ვარსკვლავს"

◆ **მგოსნის აკაკის სამარე** აღდგომის მეორე დღეს ვარდ-ყვავილებით შეამკეს.

◆ **ნადსონი ქართულად**, ილ. ჩხერიმელის-პირელის მიერ თარგმნილი, ავტორის მოკლე ბიო-გრაფიით და სურათით ცალკე წიგნად გამოიცემება ამ მოკლე ხანში.

◆ **აკაკი რუსულად**, რჩეული ლექსებით და მოკლე წერილებით, პეტროგრადში გამოსცა დ. ჭია-ბრიშვილმა. წიგნში ჩართულია წერილები ივ. გო-მართლის, გრ. რობაქიძის, ლ. ყიფიანის, შ. დ—ის ა ნიკიტინის, აგრეთვე წერილის ნაწყვეტები „თემი-დან, „თეატრი და ცხოვრებიდან (მეთაურის ნაწყვე-ტი), „კლდიდან" და სხ. აკაკის ჩვიდმეტი ლექსი, „გამზრდელი" და სხ. წიგნი მეტად ფაქიზადაა გამო-ცემული და ჰღირს 60 კ.

◆ **დ. ჭიაბრიშვილს განუზრახას** პეტროგ-რადში რუსულ ენაზე გამოსცეს: წიგ. „ქართველები, მათი-ისტორია, ყოფა-მდგომარეობა და კულტურა".

◆ **დღეს შუადღისას** სახაზინო თეტრში ვ. გუნიას თაოსნობით წარმოდგენილი იქნება „სამშობლო"

◆ **„სინათლე** ი. გედევანიშვილისა წარმოდ-გენილი იქნება ამ მოკლე ხანში.

◆ **ავლაბრის სცენის მოყვარეთა წრემ** გადასწყვიტა მოკლე დროში შეუდგეს თვის დამსახუ-რებულ სცენის მუშაკთა იუბილეების გადახდას. გა-მართვენ ბ. მაისურაძის, ივ. მჭედლიშვილის და რ. ჯიბლაძის 10—15 წლის ნამოღვაწევის დღესასწაულს ცალცალკე.

Дозволено Военной Цензуроц.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

წელიწადი მესამე

## მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი1 მ. ენკენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. **ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნი სავაჭროში ს. **ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 ევ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ.

ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი**

# „სამშობლო“

ფასი: ერთი წლითი წლით 8 მან. ნახევარწლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ. დამატებიანი—7 კ. ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს. წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის მისამართით: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

**გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ სურათები.**

**მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.**

**რედაქტორი ი. თ. ცინცაძე**

---

22 დეკემბრიდან გამოდის **„ჩვენი დროების“** მაგივრად

# „შადრევანი“

გაზეთი ღირს წლიურად 2 მ. 50 კ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს:** Тифлисъ, типографія „Сорапань“ Александру Георгіевичу Мумладзе

---

**ვკისრულობ** ორგინალურ და თარგმნილი **ხელნაწერების გასწორება-გადაწერას, კორექტურას და გამოცემის საქმეს. მისამართი:** პერიოდულ გამოცემათა ცენტრალური კანტორა **„განთიადი“**, **თბილისი, მიხეილის პროსპექტი № 18.**




* ხელმეორედ დაიბეჭდა და იყიდება

სურათი

## საქართველოს მნათობნი

**შოთა, აკაკი და ილია**

ფასი: 50 კ. ვინც ოც ცალს ერთად დაიკვეთს, 20% დაეთმობა. მისამართი: თბილისი, ქ. შ. წ.-კ გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიაში. (5—4)

---

## ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზეარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)

---

**ს ა ხ ა ლ ხ ო  ს ა ხ ლ ი**

**ორშაბათს 30 მარტს**, თბილისის ქართ. დრამ. დასის მსახ. ამხ-ბის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ქაი გრაკხი

ტრაღ. 5 მოქ. ვ. მონტისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა

**მონაწილეობს მთელი დასი.**

ადგ. ფასი 1მ. 20 კ-დან 10 კ-მდე

დასაწყისი საღ. 7½ საათზე. რეჟ. **მ. ქორელი**

---

**ჟურნალი**

## „თეატრი და ცხოვრება“

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გადაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორა

## „მ ა ნ თ ი ა დ ი“-ს

**გიორგი მაქ. მახარაძეს**

მიხეილის-პროსპექტი, № 18 ფოსტის ყუთი № 21.

ყველა გამყიდველთ თბილისისა და პროვინციისასა მას უნდა მიმართონ.

---

ამ დღეებში პეტროგრადში რუსულ ენაზე გამოვიდა

## აკაკის სამახსოვრო კრებული

გამოცემა დ. ჭიაბრიშვილისა, ფ. 50 კ. **შემოსავალი გადაეცემა აკაკის სახელობის ფონდს** საწყობი პეტროგრადში, ვლადიმირის პრ. 10—26 არაზიძესთან. (5—3)

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА
ТИФЛИСЪ
Михайловский пр. 18
ПЕРИОДИЧЕСКИХЪ ИЗДАНІЙ

Типографія „Сорапань“

სტამბა „სორაპანი“